1. რომელია ნეოლოგიზმი (ახალშემოსული სიტყვა)?

ა) დირექტორი. ბ) კოსმოსი. გ) მესიჯი. დ) ტერიტორია.

2.რომელ შესიტყვებაშია გამოყენებული სიტყვა *ქვა* გადატანითი მნიშვნელობით?

ა) ქვის გალავანი. ბ) ქვის გული. გ) ქვის ღობე. დ) ქვის ჯვარი.

3. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) ნესტან, როდის გვესტუმრები? ბ) ნესტანის მშობლები საზღვარგარეთ მუშაობენ.

გ) ნესტანიმ კონკურსში გაიმარჯვა. დ) ნესტანს დავალება არ შეუსრულებია.

4. რომელია <u>მომავალი დროის</u> ფორმა?

ა) ახატია. ბ) იფიქრებს. გ) თქვა. დ) ხედავს.

5. წინადადების რომელი წევრია <u>*მგელი*</u> ქვემოთ მოცემულ წინადადებაში:

ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს.

ა) ქვემდებარე. ბ) შემასმენელი. გ) განსაზღვრება. დ) დამატება.

6. რომელ წინადადებაშია არ არის შეცდომა?

ა) აბრეშუმი შორეული ქვეყნებიდან შემოქონდათ.

ბ) ეს ცხოველები სიცხეს ადვილათ იტანენ.

გ) თევზები ნაშიერების გადასარჩენათ იბრძვიან.

დ) ისინი მშრალ ამინდში ღრმად იძინებენ.

7. რომელი სასვენი ნიშანი აკლია შემდეგ წინადადებას:

ძაღლმა იგრძნო რომ ეს აურზაური მის გამო იყო.

ა) წერტილ-მძიმე. ბ) მძიმე. გ) ტირე. დ) ორწერტილი.

1. ---------- გ);
2. ---------- ბ);
3. ---------- გ);
4 . ---------- ბ);
5 . ---------- ა);
6. ---------- დ);
7. ---------- ბ)